პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 თებერვალი, ოთხშაბათი, 1987 წ
№ 29 (9440) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბავშვო ბაღიდან ერთვნული ბიბლიოთეკა

გუშინ ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა ინტერვიუ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილესთან გივი თალაკვაძესთან. როგორც ვიუწყებოდით, რედაქციას განზრახული აქვს წინა პლანზე წამოწიოს სბავშვო ბაღებში ფიზიკური აღზრდის საკითხი, განაზოგადოს მოწინავეთა გამოცდილება, ამავე დროს საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყროს გადასაჭრელ პრობლემებს. სურათზე, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ, თქვენ ხედავთ თბილისის 172-ე სბავშვო ბაღის აღსაზრდელებს. დღეს ამ სბავშვო ბაღზე გთავაზობთ წერილს.

იხ. მე-2 გვ.

სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უფრო ფართოდ გაშლის მიზნით ხვალ, 12 თებერვალს, 18 საათსა და 50 წუთზე და 13 თებერვალს, 9.55 წუთზე (განმეორებით) საქართველოს ტელევიზიით მოეწყობა გადაცემა „უთუოდ თქვენც გიფიქრიათ“.

საბჭოთა ქალების ზამთრის ჩემპიონატი მძლეოსნობაში

მედლები-ქართველ სპრინტერებს

წლეულს რომში გაიმართება მსოფლიოს მეორე ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ახლა ყველა სპორტსმენი, ვინც ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრებში მოხვედრაზე აცხადებს პრეტენზიას, გაცხოველებით ემზადება მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების მისაღებად.

უკვე ჩატარდა საბჭოთა მძლეოსანთა პირველი დიდი დათვალიერება — ქვეყნის ზამთრის ჩემპიონატი. ამ შეჯიბრებას პერმმა უმასპინძლა. საქართველოს ათლეტთაგან კვლავ წარმატებას მიაღწია IX საკავშირო სპარტაკიადის ორგზის ჩემპიონმა **მაია აზარაშვილმა** (მწვრთნელი ევგენი გაგუა), რომელმაც ვერცხლის მედალი დაისაკუთრა 200 მ-ზე რბენაში — 23,91 (მაიამ გარბენში უკეთესი დრო 23,77 აჩვენა).

მესამე ადგილი დაიკავა ევგენი გაგუას კიდევ ერთმა მოწაფემ **ბეხიკ გოცირიძემ.** 200 მ-ზე რბენაში მან დისტანცია 23,61 დაფარა (გარბენში — 21,49 აჩვენა).

სამკილომეტრიან დისტანციაზე მე-7 იყო IX საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი ოლეგ სტრიჟაკოვი — 8.10,23.

ელვა-ინფორმაცია

ქუთაისში დამთავრდა რესპუბლიკური ჩემპიონატი 100-უჯრედიან **შაშში. 10,5 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა თბილისელმა ნატო აგლაძემ. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ სამტრედიელი მოხწავლეები ლია ღირდალაძე (10 ქულა) და დალი ჩომახიძე (9,5 ქულა).**

დეპეშები ნომერში

● **ფოთის** სპორტკომიტეტმა სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დასახმარებლად თავი მოუყარა ყველა სპორტულ ბაზაზე არსებულ რეზერვს. სპორტსახკომის, „დინამოს“, „ვოდნიკის“ სანაჩბოსნო ბაზების თანამშრომლებს მეტად რთულ პირობებში მოუხდათ ადამიანების გამოყვანა სახიფათო ზონიდან. სიმამაცით გამოიჩინეს თავი როლანდ ცხვიტორიამ, რომან პეტროსიანმა, ალექსანდრე კინტირიამ, ვასილ ლევჩენკომ და სხვებმა. „დინამოს“ ბაზის ინსტრუქტორი მალხაზ მიქაძე, რომელმაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე იხსნა, თავად ჩავარდა განსაცდელში, მხოლოდ სპორტულმა წვრთნამ შეაძლებინა მას 14 საათი მარტოდმარტოს ებრძოლა სტიქიასთან და სამშვიდობოს გამოსულიყო.

ფოთის სპორტკომიტეტის და ქალაქში არსებული ყველა სპორტული ბაზის და უწყების თანამშრომლებმა გადაწყვიტეს დაზარალებულთა დასახმარებლად გადარიცხონ 3-5 დღის ხელფასი. ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი უახლოეს დღეებში გამართავს ამჩანაგურ მატჩს, რომლის შემოსავალი ჭოლიანად დაზარალებულთა ფონდში შევა.

ოთარ ხომერიკი,
ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

● გთხოვთ ჩემი ერთი თვის ხელფასი გადარიცხოთ სტიქიით დაზარალებულთა ფონდში № 700 ანგარიშზე.

მაია მესხია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

გაგრა.

დაზარალებულთა დასახმარებლად

● საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს სიღნაღის სპორტული კომპლექსის თანამშრომლებმა № 700 ანგარიშზე ჩავრიცხეთ ოთხი დღის ხელფასი — 400 მანეთი. შეიქმნა მაშველი ჯგუფი, რომელიც მზად არის დახმარების ხელი გაუწოდოს გაჭირვებაში ჩავარდნილ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას.

ივანე ბაიდოშვილი,
სპორტკომპლექსის დირექტორი.

● გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის ყველა წევრი 10 დღის ხელფასს შეიტანს სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა ფონდში.

ბივი ხაჩიძე,
კათედრის გამგე.

● გორის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის თანამშრომლები ორი დღის ხელფასს გადავრიცხავთ სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ დასავლეთ საქართველოს დახმარების ფონდში.

სპორტსკოლის კოლექტივი.

საკავშირო ტურნირი მინიფეხბურთში

თბილისის სპორტის სახახლეში დაიწყო საქალაქთაშორისო ტურნირი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე, რომელსაც ერთმანეთს ეცილებიან ბათუმის „ხიხანი“, თბილისის „ვაკე“, „ვერა“, ერევნის „არარატი“, რიგის „დაუგავა“ და ბაქოს „ბაკინეცი“.

გუშინ ახპარეზობა საზეიმოდ გაიხსნა. პირველი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ხიხანი“ — „არარატი“ 4:0, „ვაკე“ — „ბაკინეცი“ — 1:1, „ვერა“ — „დაუგავა“ 4:0.

დღევანდელი შეხვედრების განრიგი ასეთია: „ხიხანი“ — „დაუგავა“ (14 ს. 30 წ.), „ვაკე“ — „არარატი“ (15.30), „ვერა“ — „ბაკინეცი“ (16.30).



სურათებზე: ბათუმის „ხიხანისა“ და ერევნის „არარატის“ გუშინდელი მატჩის მომენტები.

ალექსანდრე კოტორაშვილის
ფოტოები.

გუშინ საყოველთაოდ აღინიშნა გენიალური რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის ხსოვნის დღე



იგი რაინდიც იყო

ლენინგრადელებს ერთი საოცარი ტრადიცია აქვთ: ყოველ 10 თებერვალს, ზუსტად ორ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე, დიდი პუშკინის სიკვდილის წამს, მოიკაზე, პუშკინის სახლის ფანჯრების ქვეშ იყრიან თავს. რამდენიმე წელიწადს სახლში რეკონსტრუქცია ტარდებოდა და სამგლოვიარო ცერემონია აღარ მოუწყვიათ. ხალხი კი მაინც მიდიოდა. განა შეიძლება უფრო ნათლად გამოხატო სიყვარული დიდი პოეტის მიმართ?

....ერთხელ პუშკინის შესანიშნავმა მცოდნემ, რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა, მხატვრული კითხვის ბრწყინვალე ოსტატმა ალექსანდრ კუტეპოვმა ინტერვიუში თქვა: „მე ხშირად ვცდილობ წარმოვიდგინო, როგორ შეხედავდა პუშკინი ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას. აი, ტელევიზიით გადმოსცემენ თანამედროვე ახალგაზრდულ ცეკვებს. რას იტყოდა, მაგალითად, ლევ ტოლსტოი მათი ნახვის შემდეგ? ალბათ იფიქრებდა, სამყარო შეიშალაო. პუშკინი? პუშკინი ალბათ თვითონაც უსაზღვრო მხიარულებას მიეცემოდა, გაიხარებდა, სხვებთან ერთად იხარხარებდა... იგი იმდენად ლაღი ბუნების ადამიანი იყო, ეს უთუოდ ძალიან მოეწონებოდა“.

როგორ შეხვდებოდა პუშკინი თანამედროვე სპორტულ მიღწევებს? იგი ალბათ აღტაცებული იქნებოდა! მით უფრო, რომ თვითონ პოეტი, სხვათა შორის, ნამდვილი ათლეტი იყო.

მისი მეგობრებისა და თანამედროვეების ნაამბობიდან ვიცით, რომ პუშკინი დიდ ყურადღებას აქცევდა ფიზიკურ ვარჯიშს. პ. ბარტენიევი, პ. ანენკოვი, პ. პლეტნიოვი იხსენებენ, რომ პოეტს უყვარდა ტანვარჯიში და „ათლეტის მოთმინებით“ ვარჯიშობდა. ხშირად დადიოდა ფეხით, კარგა დიდ მანძილზეც კი. უყვარდა ცხენით სიარული, იშვიათად თუ დაინახავდნენ ეკიპაჟით მიმავალს. ცხენზე ამხედრებულმა შემოირა ყირიმი, იმოგზაურა კავკასიაში... პოეტი გატაცებული იყო სპორტის სხვა სახეობებითაც. მარჯვედ ფარიკაობდა, კარგად ისროდა. პავლე ვიაზემსკი, პუშკინის მეგობრის, პოეტ პ. ვიაზემსკის ვაჟი იგონებს: „1827 წელს პუშკინი ინგლისურ კრივს მასწავლიდა“. საინტერესოა, ვინ ასწავლა კრივი თვითონ პუშკინს, რომელიც საზღვარგარეთ არასოდეს ყოფილა? რუსი საზოგადოება ხომ იმ დროს თითქმის არ იცნობდა სპორტის ამ სახეობას. არის შეხედულება, რომ პუშკინმა კრივი შეისწავლა XIX საუკუნის დამდეგს ფართოდ გავრცელებული ინგლისური ოთხტომიანი სახელმძღვანელოთი „ბოქსიანა“.

პუშკინი ხშირი სტუმარი იყო პეტერბურგში გახსნილი პირველი საციგურაოსი. იგი კარგად სრიალებდა და სხვებსაც ხალისით უზიარებდა თავის ცოდნას. მ. სუზოტინი თავის მოგონებებში წერს: „მე და ჩემი ძმა ყოველდღე დავდიოდით საბანაოდ. ნევაზე საზაფხულო ბაღის პირდაპირ დიდი საცურაო იყო მოწყობილი. ერთხელ წყალში ვჭყუმპალაობდი, ვერ შევნიშნე, როგორ გაჩნდა ჩემს გვერდით ვიღაც ხუჭუჭმიანი მოცურავე და ღიმილით მითხრა: „ნება მომეცით გიჩვენოთ, როგორ უნდა ცურვა. თქვენ სწორად არ უსვამთ ხელებს. ბაყაყურად უნდა მოუსვათ“. ამ სიტყვებზე იმ თმახუჭუჭა კაცმა დაიწყო კიდეც ნამდვილი ცურვის მანერის ჩვენება, მაგრამ უცებ უკანვე გაცურდა და საბანაოდ შემოსულ ბატონს მიესალმა, „ა, გამარჯობა, ვიაზემსკი“. მე და ჩემმა ძმამ ერთმანეთს გადავხედეთ და ერთხმად შევძახეთ: „ეს უთუოდ პუშკინი იქნებოდა“.

გულისტკივილით წერდა პუშკინის სიკვდილის შემდეგ პ. ვიაზემსკი: „იგი (პოეტს გულისხმობს) მაგარი აგებულებისა იყო, ჯანსაღი. რაც იცოცხლა, თუ მეტს არა, ალბათ ერთ იმდენს მაინც კიდევ იცოცხლებდა...“

პუშკინის ქართველი შთამომავლები

— ეს ალექსანდრე სერგის ძეა, ეს კი მისი შვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — ვერა ვლადიმერის ასული ფოტოსურათებს პასიანსივით შლის მაგიდაზე. ცოცხალ, მარად ახალგაზრდულ, ბავშვობიდან ძალზე ნაცნობ და საყვარელ სახეს ცვლის სერიოზული, ბაკენბარდებიანი გენერლის, დიდი პოეტის შვილის ალექსანდრე ალექსანდრეს ძე პუშკინის სახე. იქვე ქალთა პორტრეტები ჩნდება. აგერ გენერლის ქალიშვილი ნატალია პუშკინა, შემდგომში ვორონცოვა, აგერ მისი ქალიშვილი მარია პავლეს ასული ვორონცოვა, შემდგომში კლიმენკო და მისი ქალიშვილი ნატალია ევგენის ასული. ულამაზეს ქალთა სახეებს უერთდება ბავშვის სურათი — ეს ჩემი კეთილი მასპინძელია, ვერა ვლადიმერის ასული — ნატალია ევგენის ასულის ქალიშვილი. მეშინია არ ამერიოს და ბოლოდან ვიწყებ ჩამოთვლას — ვერა, ნატალია, მარია, ნატალია, ალექსანდრე და პუშკინი, თავად პუშკინი!

ახლა კი ყველაფერი რიგის მიხედვით მოვყვეთ. თბილისში ცხოვრობენ პუშკინის შთამომავალნი — ნატალია ევგენის ასული კლიმენკო და მისი ქალიშვილი ვერა ვლადიმერის ასული, რომელიც 30 წლის წინათ გახდა საქართველოს რძალი. ვერა ვლადიმერის ასულის ვაჟი ანდრეი სვანიძე ჩვენი დედაქალაქის მკვიდრია. აქ გაიზარდა, დაამთავრა სკოლა, მაგრამ უკვე 10 წელია მოსკოვში ცხოვრობს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს. ვერა ვლადიმერის ასული გეოგრაფიას ასწავლის თბილისის ერთ-ერთ სკოლაში, ნატალია ევგენის ასული კი პენსიონერია.

ახლა, პუშკინის გარდაცვალების 150 წლისთავის დღეებში, სვანიძეების ოჯახში სტუმრობენ — მოდიან მეგობრები, ლიტერატორები, ხელოვნებათმცოდნეები, ჟურნალისტები. ტელეფონის ზარს „ლელოს“ რედაქციიდან ვერა ვლადიმერის ასული არ გაუკვირვებია, რადგან სპორტი თავად პუშკინსაც ძალიან უყვარდა და მის ნაშიერთაც უყვართ. დიდხანს ვათვალიერეთ სვანიძეების საოჯახო არქივი, ვცდილობდით გვეპოვა ფოტო, რომელზეც რომელიმე პუშკინი იქნებოდა აღბეჭდილი სპორტული კარჯიშის დროს. თავის დროზე ანდრეი თურმე სერიოზულად ვარჯიშობდა ცურვაში, წყალბურთში, მძლეოსნობაში, დადიოდა მთებში. დედამისი ტურიზმის ტრფიალია, მას ფეხით აქვს მოვლილი თბილისის შემოგარენი, ნამყოფია საქართველოს ყველა კუთხეში. დღემდე განუცდელი გრძნობა მეუფლება, როდესაც ქალბატონ ვერას ვუსმენ. რა სიყვარულით ლაპარაკობს ეს რუსი ქალი ქართულ მიწაზე, როგორ შეთვისებია მას.

საჭირო ფოტოები ვერ ვიპოვეთ. მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია თბილისში დიდი ქართველი პოეტის შეექვსე თაობის წარმომადგენელს შევხვდით.

პეპი გოჰორიშვილი.

საბავშვო ბაღიდან იწყება...

იქნებ სწორედ ესენი?..

— „ერთი, ორი, სამი; ერთი, ორი, სამი“ — ითვლის გულიკო მასწავლებელი და სიმაღლის მიხედვით დაწყობილი პატარები სპორტულ დარბაზში შემოდიან, სამ მწკრივად დგებიან და დილის გამამხნევებელი ვარჯიშისთვის ემზადებიან. ასე იწყება ყოველი დღე კალინინის რაიონის 172-ე ბაღში.

—სამიოდე თვეა, რაც ახალმოსახლეობა ვიზეიმეთ — გვითხრა ბაღის გამგემ ლია აფაქიძემ. — მშენებელთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი კარგად გაძღოლიან თავიანთ საქმეს. ბავშვების განკარგულებაშია ნათელი, კეთილმოწყობილი შენობა, ეზო, დიდი სპორტული დარბაზი, ავტოდრომი, ღია ვერანდები, სადაც ისინი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ივარჯიშებენ. კაპიტალურ საცურაო აუზის მოწყობას. მალე ჩვენთან პატარები სპორტულ ფორმაში გამოწყობილები ივარჯიშებენ.

— „მარცხნისაკენ! მოეწყვეთ ერთ რიგად“ — გასცა ბრძანება გულიკო მასწავლებელმა. დილის ვარჯიში დამთავრდა, ბავშვები კიბეებით სასადილოში ჩარბიან, სადაც მათ გემრიელი საუზმე ელით.

„გვინდა სპორტი აქედანვე შევაყვაროთ პატარებს, — ამბობს გულიკო ყიფიანი. — ბავშვს აქედანვე ეტყობა, მისგან რა გამოვა. დიდი სპორტისკენ მიმავალი გზა, შეიძლება ითქვას, საბავშვო ბაღზე გადის. ბავშვის უნარი აქ უნდა აღმოვაჩინოთ და აქედანვე დავაგზავაკვალოთ იგი. ჩვენი მიზანია სულით და ხორცით ჯანმრთელი ბავშვების აღზრდა, გარდა დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიშისა, პატარებს კვირაში ორჯერ ფიზმომზადების გაკვეთილებიც აქვთ: ეს გაკვეთილები მათთვის ნამდვილი ზეიმია. რკალში გაძრომა, შვედური კიბეზე ასვლა, თოკზე ხტომა — ყველაფერი მოსწონთ. ეზოში სეირნობისას ხშირად ვატარებთ მოძრავ თამაშებს.

ბავშვები საუზმეს მორჩნენ და ახლა სულგანაბული შეჰყურებენ მასწავლებელს, რომელიც „უცხოს“ ესაუბრება. მაგრამ აი, სპორტზე ჩამოვაგდეთ თუ არა სიტყვა, თვალები აუციმციმდათ, ერთმანეთს აღარ აცლიან ლაპარაკს... ფრიდონს და ლევანს ფეხბურთის თამაში მოსწონთ, დათოს და გიორგის კალათბურთი იტაცებთ, ნინოს და ელენეს — ჩოგბურთი, სახელგანთქმული მოჭიდავის გივი კარტოზიას სეხნია შვილიშვილს ფალავანი სურს გახდეს, მიშიკომ და გიგამ თქვეს ყველაფერს წყალბურთი სჯობიაო, გიორგიმ და თამრიკომ — ჩვენ ცხენოსნობა გვირჩევნიაო. ვინ იცის, რამდენი მომავალი ჩემპიონი თუ სპორტის ოსტატი ზის ამ პატარა ოთახში, მაგრამ დიდ სპორტზე ჯერ მხოლოდ ოცნება შეიძლება, ისინი ხომ 6 წლისანიც არ არიან...

ნინო ხიმონიშვილი.

ჭიდაობა ჩვენი, ქართული

ანგარიში გავუწიოთ

„ქართული ჭიდაობა ისეთივე განძია ჩვენი, როგორც ფოლკლორი და ძველ ოსტატთა მიერ ნაგებ-ნაშენი ტაძრები და ციხედარბაზნი“.

ნ. კეცხოველი.

ხალხურ ოსტატთა ნახელავი ყოველთვის გამოირჩეოდა ესთეტიკური ღირებულებისა და ფუნქციური დანიშნულების სრული შერწყმით. მარტივი თიხის ჯამიც კი ხელოვნების უზადო ნაწარმოებს წარმოადგენს. ასეთ სინატიფეს მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებისა და ტრადიციის შედეგად აღწევდნენ ოსტატნი.

ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართული ჭიდაობაა. წლების მანძილზე იხვეწებოდა მისი ილეთები, ფანდები, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც კი, თუ რა ემოსათ საჭიდაოდ გამოსულ ფალავნებს, სად ჭიდაობდნენ ისინი, ბალახზე თუ ნახერხმყრილ სარბიელზე.

„როცა მეტოქე იგრძნობს წუთიერ, თუნდაც წუთის მეასედით გამოთიშვას — წერდა ჩვენი ჭიდაობის დიდი ქომაგი ნიკო კეცხოველი, — ამით ისარგებლებს მეორე მხარე. ამიტომაც ძველად წონითი კატეგორიები არც იცოდნენ — ფანდი უნდა ყოფილიყო, გრამებს არავინ ითვლიდა. მარტო ის რად ღირს, რომ ნამდვილ ჭიდაობას არც მსაჯი ესაჭიროება. მსაჯია თვითონ წაქცეული, რომელიც წამოდგება და ხელს გამოგიწვდის“...

ქართული ჭიდაობის ღირსებებზე ლაპარაკი დღეს სწორედ რომ დროულია, რადგან ამ სახეობაში, რომელსაც ერთხანს უურადღებას აღარ ვაქცევდით, დღეს სხვადასხვა მასშტაბის რესპუბლიკური შეჯიბრებები იმართება. ახლახან საინტერესო სიახლის მოწმენიც გავხდით. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, სპორტსახკომისა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ თაოსნობით თბილისის ცირკის სარბიელზე ამიერიდან სისტემატურად იმართება შეხვედრები, რომელშიც ქალაქის უბანი — უბანს და სოფელი სოფელს ეჯიბრება.

აქაოდა ნახერხმოყრილ სარბიელზე იმართებაო, ბევრმა ეს შეჯიბრება რეტროსპექტულად მიიჩნია. „მარტო ხალიჩაზე მრავალი წლის ნავარჯიშებ სპორტსმენთა შერკინება კი არ გამოსვლოდათ, არამედ შენარჩუნებულიყო ძველი ჭიდაობის იერი და სული“... — წერდა ერთი ჟურნალისტი. იერსა და წარსულზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ შეჯიბრების მესვეურებმა სარბიელს, რომელზეც ქართული ჭიდაობა იმართება, მთავარი ატრიბუტი — ნახერხი დაუბრუნეს. აკი ამბობდა ნ. კეცხოველი, ჩვენს ჭიდაობას არბიტრი არ სჭირდება და მაყურებელია საუკეთესო მსაჯი. როცა საერთო შეძახილი „იყო! — არ იყო!“ გამარჯვებას ვერც ერთ მხარეს ვერ მიაკუთვნებს, მაშინ სწორედ ნახერხი „ერევა საქმეში“ და სამართალსაც ის აღადგენსო. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი შეჯიბრება.

ორიოდე წლის წინათ ხოვლეში დიდი ჭიდაობა გაიმართა. ხოვლელებმა ტოლი არ დაუდეს კასპელთა ძლიერ გუნდს და როცა გადამწყვეტ შერკინებაში მსაჯმა სტუმართა წარმომადგენელს მიანიჭა წმინდა გამარჯვება, ერთ-ერთმა დარბაისელმა ბერიკაცმა წამოიძახა:

— აბა, მაგის ბეჭებს შეხედე, მაშ ეგ იყო?!.

და მართლაც, დამარცხებულად გამოცხადებულს, იმის ნიშნად, რომ იგი მხოლოდ ერთი ბეჭით შეეხო მიწას, ნახევარ მხარეს ჰქონდა აკრული ნახერხი, მეორე მხარე კი სუფთა დარჩენოდა. მსაჯმაც წამსვე შეცვალა გადაწყვეტილება... დიახ, ნახერხი თავისებური მსაჯულია ქართულ ჭიდაობაში, ამიტომ ცხადია, მიზანშეწონილი არაა, ჩოხოსან ფალავნებს ტატამსა და სხვა სინთეტიკურ სარბიელზე ვუხმოთ საჭიდაოდ.

შუანგ ჭიჭინაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასის გათამაშება ბატუტზე სტომაში

ნაცნობი სახელები და... პრობლემები

„შრომითი რეზერვების“ სპორტის სასახლეში საქართველოს თასის გათამაშების მონაწილენი ბატუტზე. ხტომაში ისეთ ზერთულ ელემენტებს აკეთებდნენ, ფოტოობიექტივს კი არა, თვალს უჭირდა მათი დაჭერა. შეჯიბრებაზე ოთხმა სპორტსმენმა შეასრულა უმაღლესი პილოტაჟი — სამმაგი მალაყი ნახტომი წინ. ბრუნით. ხშირად გვითქვამს, რომ ბოლო წლებში ჩვენს ბატუტისტებში ქალები უფრო ყოჩაღობენ, შეჯიბრებამ კი გვიჩვენა, რომ ვაჟები დღეს უკვე წარმატებით იბრძვიან „თანასწორუფლებიანობისთვის“. დიახ, ზერთულ ელემენტებს სწორედ ისინი ასრულებდნენ. ამ შეჯიბრებაში, ისე, როგორც შარშან, მხოლოდ მოსწავლეები გამოვიდნენ და გამარჯვებულთა ასაკი 14 წელს არ აღემატება. უკვე შევეჩვიეთ იმისაც, რომ ინდივიდუალურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი რუსუდან ხოფერიას და მიხეილ პელივანოვს აქვს „დაჯავშნული“. დღეს მათ გუნდში მართლაც არა ჰყავთ ბადალი, თუმცა ლიდერთა ზურგს უკან ჩანან მათი კბილა გოგო-ბიჭები, — სინქრონულ წყვილთა შორის საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრების წევრები. 13 წლის ლია ბენდიანიშვილი და ანა დოღონაძე (ერთი წლის წინ ლენინგრადში საკავშირო ტურნირზე გაიმარჯვეს) მეორე წელია არ აპირებენ მოწინავე პოზიციების დათმობას. აღნიშნულ შეჯიბრებაზე მათ მთელი 10,6 ქულით ჩამოიტოვეს მეორე ადგილზე გასული ინგა მეთოვშაშვილი და სვეტლანა გულიაევა (29,0), მესამე ადგილი დაიკავა რუსუდან ხოფერია — ნინო შერმადინის წყვილმა (27,5). აქვე უნდა ვთქვათ, რომ ნინომ ნებისმიერ ვარჯიშში სერიოზული შეცდომები დაუშვა, 10-დან მხოლოდ 7 ელემენტი შეასრულა (ყავალდებულო პროგრამით ასპარეზობაში ისინი მეორე ადგილზე იყვნენ). ჩვეულ ფორმაში არ არის სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი რუსუდან ხოფერია, თუმცა ინდივიდუალურ ასპარეზობაში მან კვლავ ყველაზე მაღალი, 11,2 კოეფიციენტის პროგრამით ისასპარეზა, 95,3 ქულა მოაგროვა და სამართლიანად დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გავიდა ანა დოღონაძე (94,4 ქულა), მესამეზე — ნინო შერმადინი (86,6 ქულა). სამწუხაროდ, ერთმა უხეშმა შეცდომამ საპრიზო ადგილი დაეკარგვინა ლია ბენდიანიშვილს. ბიჭების წყვილებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს მიხეილ პელივანოვ — ზაზა აბრამიშვილის წყვილმა (39,0), მეორე ადგილი დაიკავეს მიხეილ ნიკოლაიშვილმა და ზაზა ხიზანიშვილმა (33,5), მესამე—დავით კანდელაკმა და ზურაბ ბიჩენოვმა (29,6). ვაჟთა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში რთული (11,1 კოეფიციენტი) პროგრამა დაძლია მიხეილ პელივანოვმა. მან 94,0 ქულა მოაგროვა და ოქროს მედალი დაისაკუთრა, მეორე ადგილზე გავიდა სინქრონულ წყვილში მიხეილის თანამეწყვილე ზაზა აბრამიშვილი (81,9), მესამეზე — ზაზა ხიზანიშვილი (77,0).

რუსუდან ხოფერია.

პირველი თანრიგის მოასპარეზეთა შორის გაიმარჯვეს თინა სუსუნიაშვილმა და კახაბერ ქვლივიძემ. საინტერესოა, რომ შარშან გამართული მსგავსი შეჯიბრების გამარჯვებულებს მხოლოდ ერთი მიემატა — სინქრონულ წყვილში ზაზა აბრამიშვილმა შეცვალა მიხეილ ნიკოლაიშვილი.

საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი **თენგიზ ხუდოევი:** — საქართველოს ბატუტისტთა შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებს კარგა ხანია მხოლოდ თბილისში მოვარჯიშე ბატუტისტები იკავებენ. ძალთა შეფარდება არც წელს შეცვლილა და არც მომავალში ველით მკვეთრ შემობრუნებას. განსაკუთრებით აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლები ჩამორჩებიან. მიზეზი სპეციალისტთა ნაკლებობა გახლავთ. ყინული დაიძრა ქუთაისში. აქ გამოჩნდა პერსპექტიული ბატუტისტი ლელა გიგინეიშვილი. მისი შემდგომი დაოსტატებისთვის სასურველია, რომ მან თბილისში ჩვენი მეთვალყურეობით ივარჯიშოს. რაც შეეხება უახლოეს გეგმებს, 20 თებერვალს მოგილიოვში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება დაიწყება. ჩვენი ბატუტისტებიდან პერსონალურად მიიწვიეს რუსუდან ხოფერია, ნინო შერმადინი, ინა წიკლაური, მიხეილ პელივანოვი და ზაზა აბრამიშვილი.

ჯემალ კოგბერიძე.

* * *

ს უ რ ა თ ებ ზ ე (ზემოთ, მარცხნივ) — **ზაზა აბრამიშვილი და მიხეილ პელივანოვი; მარჯვნივ — ლია ბენდიანიშვილი და ანა დოღონაძე.**

დავით კურტანიძის ფოტოები.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

მეორე ეშელონი

გრძელდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები იმ გუნდებს შორის, რომლებიც VII-XII ადგილებისთვის იბრძვიან.

ვილნიუსი. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივი „სტატიბასა“ და კიევის „სტროიტელის“ შეხვედრები. ლიტველმა კალათბურთელებმა ორივე მატჩი მოიგეს — — პირველი ერთი ქულის (85:84), მეორე კი ხუთი ქულის (87:82) სხვაობით.

კიევი. მეორე ფინალური ჯგუფის ლიდერმა კიევის არმიელთა კოლექტივმა ორი განსხვავებული მატჩი ჩაატარა ალმა-ათის თანაკლუბელებთან. პირველში, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც, წარმატებას მიაღწია — 84:80. მეორეში კი მოულოდნელი ძარცხი - გასიტდა 94:104.

მოსკოვი. თავის მოედანზე აბსოლუტურ უპირატესობას ვერც ადგილობრივმა დინამოელებმა მიაღწიეს. პირველ დღეს მინსკის რტისთან შეხვედრაში მათი უპირატესობა თითქოს უდავო იყო—94:81, აი, მეორე დღეს კი ბელორუსიის კალათბურთელებმა რევანში აიღეს — 84:76.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
ასკ (კიევი)	26	13	13	39
„დინ.“ (მოსკოვი)	26	11	15	37
„სტატ.“ (ვილნიუსი)	26	11	15	37
„სტროიტ.“ (კიევი)	26	9	17	35
რტი (მინსკი)	26	8	18	34
ასკ (ალმა-ათა)	26	8	18	34

„ნაბიჯი უმაღლეს ლიგაში“

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ვრცელი წერილი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეულმა დამატება „ფუტბოლ-ჰოკეიმ“ (№ 6), რომლის ავტორია დამატების რედაქტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ვიქტორ პონედელნიკი.**

წერილში ლაპარაკია ლანჩხუთის „გურიის“ კოლექტივზე, რომელმაც შარშან I ლიგის საკავშირო გათამაშებაში უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

ვ. პონედელნიკი წერს, რომ საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩზე თბილისში ყოფნისას 1971 წელს მან გაიცნო კომკავშირის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი თემურ გუგუნავა, რომელმაც იგი საგანგებოდ მიიწვია ლანჩხუთში:

— ჩამობრძანდით ჩვენთან თუნდაც სულ ერთი დღით. — შესთავაზა გამოჩენილ ფეხბურთელს თ. გუგუნავამ. — თვითვე დარწმუნდებით, თუ როგორ უყვართ ჩვენში ფეხბურთი, როგორი გუნდი გვყავს, როგორი სტადიონი გვაქვს.

ვ. პონედელნიკი აღწერს ყველაფერს, რაც კი მან ნახა ჩვენს ქალაქ ლანჩხუთში, მოიხსენიებს იქაურ მკვიდრთა შრომითს წარმატებებს, დიდ სიყვარულს ფეხბურთისადმი, ლანჩხუთის ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელ თავმჯდომარეს ევგრაფი შევარდნაძეს და სხვებს. შემდეგ მოკლედ აღწერს ლანჩხუთის „გურიის“ მიღწევებს ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ეს გუნდი 1968 წელს „ბ“ კლასში გამოდიოდა, თბილად იხსენიებს გუნდის მაშინდელ მოთამაშეებს ი. დათუნაშვილს, რ. ურუშაძეს, ზ. ებრალიძეს, ვ. ძიძიგურს, ლ. ჟორდანიას, გ. თავაძეს, გ. იმნაძეს, მოიხსენიებს „გურიის“ სხვადასხვა პერიოდის მწვრთნელებს გ. იმნაიშვილს ვ. ნარიმანიძეს, ვ. ბერეჟნოის, შ. კაკაბაძეს, ა. კოტრიკაძეს, მ. ხურცილავას, ბ. სიხარულიძეს.

მკითხველებს შეუძლიათ თვალი გაადევნონ ლანჩხუთელთა გუნდის პროგრესს და აღმასვლას „ბ“ კლასიდან უმაღლეს ლიგამდე, ახასიათებს მის ცალკეულ ფეხბურთელებს, საგანგებოდ ხაზს უსვამს როგორი ენთუზიაზმით და ნამდვილი სიყვარულით აშენებენ ლანჩხუთელი მშრომელები თავიანთ სტადიონს, როგორ უანგაროდ ეხმარებიან მათ ახლომდებარე რაიონების სპორტის მოყვარულები.

წერილს ვ. პონედელნიკი ასე ამთავრებს:

„დიახ, ძნელი სეზონი მოელის ამ სასოფლო გუნდს. უმაღლეს ლიგაში გამოსვლის უფლების მოპოვება ძალზე რთულია, მაგრამ მასში ადგილის შენარჩუნება — ასჯერ უფრო ძნელი. ლანჩხუთში ეს კარგად ესმით და ამიტომ არც ერთ დღეს არ კარგავენ უძნელესი სეზონისთვის მოსამზადებლად, თუმცა, ახლანდელმა უამინდობამ, თოვლიანმა ზამთარმა რაიონს ახლავე შეუქმნა უამრავი დამატებითი საზრუნავი“.

საკონტროლო მატჩები

ჩვენი ქვეყნის ოსტატთა კატეგორიის ფეხბურთელთა გუნდები წინასასეზონო მზადების პროგრამით მართავენ საწვრთნელ მატჩებს, საქართველოს გუნდების შეხვედრებზე უკვე ვიტყობინებოდით, დავუმატებთ, რომ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ლანჩხუთის „გურიის“ შეხვედრაში დაძაბული ბრძოლის შემდეგ ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“.

სხვა საკონტროლო მატჩების შედეგები: „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ყალგირისი“ (ვილნიუსი) 1:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „არარატი“ (ერევანი) 3:0, „არარატი“ (ერევანი) — ცსკა 1:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:1, „ყალგირისი“ (ვილნიუსი) — ცსკა 2:0, „შახტიორი“ (დონეცკი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 1:1, „დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 5:2, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (მინსკი) 1:0.

ბეკენბაუერის პროგნოზი

გფრ-ის ნაკრების ხელმძღვანელი ფრანც ბეკენბაუერი ესაუბრა იტალიურ „გაზეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტს. მისი აზრით, 4 ნაკრებს შეუძლია გახდეს ევროპის ჩემპიონი 1988 წელს: გფრ-ის, საბჭოთა კავშირის, ესპანეთისა და იტალიის გუნდებს. რაც შეეხება ამჟამად მიმდინარე ევროპულ საკლუბო ტურნირებს, ბეკენბაუერის ვარაუდით, ფინალში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ „ბაიერნი“ — კიევის „დინამო“ (ჩემპიონთა თასზე), „აიაქსი“ — მოსკოვის „ტორპედო“ (თასების მფლობელთა თასზე) და „ბარსელონა“ — „ინტერი“ (უეფას თასზე).

„ო დიას“ ცნობით

როგორც ლისაბონის გაზეთ „ო დია“ იუწყება, ცნობილმა პორტუგალიელმა ფეხბურთელმა ფერნანდო შალანამ გადაწყვიტა საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღოს. იგი ფიქრობს, რომ ამის შემდეგ შეეძლება საფრანგეთის პირველ დივიზიონში ითამაშოს, სადაც, როგორც ცნობილია, უცხოელ ფეხბურთელებზე ლიმიტია დაწესებული — ორი უცხოელი ერთ გუნდში.

ფეხბურთელთა საკავშირო პირველობა ● I ლიგა, II ტური

შესვენება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ

უაზანსა და ჟდანოვში დამთავრდა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის I წრის II ტურის მატჩები. თბილისელი არმიელები ჟდანოვში გამოდიოდნენ. როგორც იცით, მათ პირველი სამი შეხვედრა წააგეს. თბილისელთა ეს მატჩები ასე დამთავრდა: ვოლგოგრადის „სპარტაკთან“ — 5:10, მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლის გუნდთან — 8:9, მინსკელ თანაკლუბელებთან — 10:12.

თბილისის ასკ II ტურის ბოლო მატჩში შეხვდა ერევნის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის გუნდს და გაიმარჯვა — 10:7.

ამ ტურში განსაკუთრებით კარგად ისასპარეზეს მინსკის ასკ-მ, კაუნასის „ბანგამ“ და მოსკოვის „მაიაკმა“, რომლებმაც მხოლოდ თითო ქულა დაკარგეს.

კვლავ ხელი მოეცარა ერევნის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სპორტსკოლის გუნდს, რომელმაც, ისევე როგორც პირველ ტურში, ყველა შეხვედრა წააგო.

გოოცებას იწვევს ტაშკენტის „მეხნატის“ უფერული თამაში. ამ გუნდს, რომელიც ერთ დროს უმაღლეს ლიგაში საშუალო გუნდად ითვლებოდა, ახლა მხოლოდ 6 ქულა აქვს და ჯერჯერობით ერთ-ერთი აუტსაიდერია.

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ასკ (მინსკი) — 21 ქულა, „ბანგა“ — 20, „მაიაკი“ — 18, უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სპორტსკოლა (კიშინიოვი) — 15, „ტორპედო“ (მოსკოვი) — 14, „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი), „აზოვი“ (ჟდანოვი), „სინთეზი“ (ყაზანი) — 12-12, სკიფ-ი (მოსკოვი)—11, დუშანბის გუნდი — 10, ასკ (თბილისი) — 9, უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური გუნდი (ბაქო) — 8, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდი — 6, „მეხნატი“ (ტაშკენტი)—6, ვორონეჟის გუნდი — 1, უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლა (ერევანი) — 0.

I ლიგის წყალბურთელებს ხანგრძლივი არდადეგები დაუდგათ. მესამე ტურის მატჩები მხოლოდ ივნისის ბოლოს დაიწყება.

იმედია, I ლიგის დებიუტანტები — თბილისელი არმიელები ამ შესვენებას კარგად გამოიყენებენ და ძალას მოიკრებენ საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის



ნუგზარ ნასყიდაშვილი



პაატა ხურციძე



მერაბ ვალიევი

მალხაზ მაისაშვილი

ერთი ჩემპიონი, სამი პრიზიორი

როგორც „ლელოს“ გუშინდელ ნომერში ელვა-ინფორმაციით გაუწყეთ, ორჯონიკიძეში გამართულ საკავშირო ახალგაზრდულ პირველობაზე ოთხი მედალი მოიპოვეს საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდაველებმა. დღეს უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ ამ შეჯიბრების შედეგებზე.

ახალგაზრდა მოჭიდავეთა საკავშირო პირველობები ყოველწლიურად ტარდება, შარშან გუნდები სპორტსაზოგადოებებმა და უწყებებმა გამოიყვანეს, ამჯერად კი სარბიელზე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები გამოვიდნენ. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 20 ფალავანი იყო (გუნდი მოამზადეს რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელებმა ვანო ნიკოლაძემ, ნუგზარ სხირელმა, თამაზ ბენდიანიშვილმა და გოდერძი ფასურიშვილმა). თავი ისახელა გორელმა ნუგზარ ნასყიდაშვილმა (52 კგ, მწვრთნელი — ნუგზარ სხირელი). მან ქვეჯგუფში ზედიზედ ხუთი მეტოქე დაამარცხა, ფინალში კი ანგარიშით 6:4 მოუგო მახაჩკალელ საიდ საიდოვს და ოქროს მედალი მოიპოვა. ნასყიდაშვილს, რომელიც ამჟამად საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობს, ორჯერ აქვს მოგებული „ბურევესტნიკის“ (ცენტრალური საბჭოს პირველობა, წელს მან საქართველოს ჩემპიონატშიც გაიმარჯვა.

74 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა სოხუმელმა პაატა ხურციძემ („დინამო“), რომელიც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის აბესალომ გოგიშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. ვერცხლის მედლები მოიპოვეს სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლებმა მერაბ ვალიევმა (100 კგ) და მალხაზ მაისაშვილმა (130 კგ, მწვრთნელები — ვანო ნიკოლაძე და შოთა კოტორაშვილი). გორელებმა — გიორგი ხინჩიკაშვილმა (62 კგ) და ზურაბ ავაზაშვილმა (68 კგ), თბილისელმა ეროსი ელიაშვილმა (74 კგ) IV ადგილები დაიკავეს და გუნდს ჩასათვლელი ქულები მისცეს.

საქართველოს ნაკრებმა 28 ქულა მოაგროვა და გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე 52 ქულით რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეები გავიდნენ, მესამე ადგილი უაზხეთის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს — 21 ქულა.

საპრიზო ადგილებზე გასული მოჭიდავეები, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის ოთხი სპორტსმენი, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში ჩაირიცხნენ. მალე ისინი საერთაშორისო ტურნირებში გამოვლენ, უძლიერესებს კი ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე მოუწევთ ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კრივში

...და ჩვენი სპორტსმენებიც პრიზიორები

კაუნასი, 10 თებერვალი (ტელეფონით „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). საოცარი ამბები ხდება „სპორტჰალეში“: სამი დღის მანძილზე ხუთი ლიტველი მოკრივე გამოვიდა რინგზე და ყველა დამარცხდა, მაგრამ დარბაზში ერთ თავისუფალ ადგილსაც ვერ იპოვის კაცი. დიახ,უყვართ კრივი ლიტვაში, ხალხი კარგად ერკვევა სპორტის ამ სახეობის ნიუანსებში და საკმაოდ ობიექტურიცაა. ამიტომაც ხვდებიან მასპინძლები ოვაციით ჩვენი კრივის აღიარებულ ლიდერებს შიშოვს, ალექსანდროვს, იაკოვლევს, აბაჯიანს, შანავაზოვს, მიროშნიჩენკოს, ეგოროვს, ნაზაროვსა და სხვებს. და რა სასიამოვნოა, რომ მათ რიცხვში საქართველოს წარმომადგენლებიც არიან.

გუშინ რინგზე ჩვენი რესპუბლიკის სამი ათლეტი გამოვიდა, სამივემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და არც მაყურებელს დაუშურებია ტაში, თუმცა ერთი მათგანი გამოეთიშა ასპარეზობას.

ხვიჩა ხდრიანმა (54 კგ) უკვე მეორე ორთაბრძოლა მოიგო „სპორტჰალეს“ რინგზე. მან სამივე რაუნდში აჯობა ყაზახეთის წარმომადგენელს, მსოფლიოს იუნიორთა პირველობის ფინალისტს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ვადიმ იუნუსოვს. ხუთივე მსაჯმა ხვიჩას მისცა უპირატესობა.

ასეთივე ანგარიშით — 5:0 გაიმარჯვა ალბერტ კაზანჯიანმაც (ისიც 54 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობს). მანაც ბრწყინვალედ იასპარეზა ხალხთა IX სპარტაკიადის მესამე პრიზიორის, სომხეთის გუნდის წევრის გარი ტევოსიანის წინააღმდეგ და გამარჯვების იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვა მეტოქეს.

კარგად დაიწყო თავისი შეხვედრა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთან სერგეი ვასილენკოსთან (უზბეკეთი) ემელიანე ჭულუხაძემაც (75 კგ). პირველი ორი რაუნდი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ქუთაისელ სპორტსმენს თითქოს მესამე რაუნდშიც არა უშავდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ორთაბრძოლის ბოლოს იგი დაიღალა, ახლა უფრო მეტად მისი მეტოქე აქტიურობდა და მსაჯებმაც სავსებით სამართლიანად გამარჯვება უზბეკეთის გუნდის წევრს მიაკუთვნეს — 3:2.

ახლა დინამიადაზე

ბაკურიანელი სპორტის ოსტატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი, 18 წლის დინამოელი კახა წაქაძე, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა იტალიის ქალაქ ასიაგაში გამართულ იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე.

ჩვენმა ნაკრებმა VII ადგილი დაიკავა, კახამ კი, რომელიც საუკეთესო იყო საბჭოთა მხტომელებს შორის, მე-18 შედეგი აჩვენა (ნახტომები 83 და 83,5 მეტრზე).

ახლა კახა წაქაძე წაღვერელ სპორტის ოსტატ ელგუჯა ორჯონიკიძესთან ერთად იასპარეზებს გდრ-ის ქალაქ იოჰანგიორგიაშტატში საერთაშორისო დინამიადაზე.

„ლელოს“ კორ.



ლიდერი კვლავ გამოჩნდა

ამბობენ, რომ სპორტში არის პრივილეგიერ სახეობათა ჯგუფი, რომელსაც ჰყავს თავისი მეფე — ფეხბურთი და დედოფალი — მძლეოსნობა. ამ „სამეფო კარის“ იერარქიულ კიბეზე შაშს შედარებით მოკრძალებული ადგილი უკავია, ყოველ შემთხვევაში ჩვენს რესპუბლიკაში ასეა. თუ 64-უჯრედიან შაშში თითქმის ყველა ვარიანტი კარგადაა შესწავლილი, რაც ართულებს გამარჯვების მოპოვებას (ამის თავიდან აცილების მიზნით ბოლო წლებში 64-უჯრედიან შაშში შეჯიბრებები შეცვლილ პირობებში ტარდება — პირველი-ორი სვლა კენჭისყრით წინასწარვეა ცნობილი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა შედეგიანობა), სამაგიეროდ 100-უჯრედიან, ანუ საერთაშორისო შაშში ბევრი ლამაზი და რთული კომბინაცია შეიძლება გათამაშდეს და ამიტომ მსოფლიო ჩემპიონატები ამ სახეობაში საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები უძლიერესთა დავაში სამწუხაროდ იშვიათად ებმებიან. მიზეზი? სპორტის ამ სახეობას ყურადღება აკლია. ამგვარმა დამოკიდებულებამ ხელი შეუშალა ახალგაზრდების გატაცებას შაშით, დიახ, ჩვენში სპორტის ეს სახეობა თვითდინებაზეა მიშვებული, მაგრამ ბუნებრივი ნიჭის მქონე, მონდომებულ ადამიანს ასეთ არახელსაყრელ პირობებშიც შეუძლია წარმატებას მიაღწიოს. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ჯუმბერ ბერიშვილი. 17 წლის მოშაშემ ახლახან საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის ფინალის საგზური მოიპოვა. ჯუმბერი პირად მწვრთნელ არტურ გოიხმანთან ერთად გვეწვია რედაქციაში.

● ჯუმბერ, საქართველოს შაშის ისტორიაში ჩვენს სპორტსმენებს წელს მეორედ გაუღეს უმაღლესი ლიგის კარი. ადრე ამ ლიგაში გამოდიოდა თბილისელი ბორის შავერდიანი, რომელმაც იუნიორების მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. დღეს კი თქვენ მოგეცათ საშუალება საქართველოს მოშაშეთა სპორტული ღირსება დაიცვათ. ყველა სპორტსმენი დიდ სპორტში თავის გზა-ბილიკით მოდის. როდის დაიწყეთ შაშის თამაში და ვინ იყვნენ თქვენი პირველი მწვრთნელები?

— ექვსი წლისას დედამ პატარა მაგიდა მიყიდა. მერე მითხრა, ერთ მაგიდას ზემოდან კრილოვის იგავ-არაკის „მელა და წეროს“ ცნობილი სურათი ეხატა, მეორეს კი შაშის დაფა, ვიფიქრე, იგავ-არაკს ერთხელ მოვუყვები და მერე აღარ დაინტერესებსო. ასე გაჩნდა შაშის მაგიდა ჩვენს ოჯახში. რამდენიმე თვეში ოჯახის „დახურულ ჩემპიონატში“ გავიმარჯვე. შემდეგ სტუმრებს ვთხოვდი ჩემთან ეთამაშათ. 102-ე საშუალო სკოლაში რომ შემიყვანეს სასწავლებლად (დედაჩემი აქ მუშაობდა პედაგოგად), სამასწავლებლოში პედაგოგებს ვეთამაშებოდი და მხოლოდ ფიზკულტურის მასწავლებელთან, შაშის სექციის ხელმძღვანელ ს. ველთაურთან მქონდა თანაბარი ბრძოლა, სხვებს ყველას ვუგებდი. ველთაურმა შაშის სექციაში ჩამწერა. იმავე წელს ქალაქის პირველობაზე მოსწავლეთა შორის მერვე ადგილი დავიკავე. პირველობის მთავარმა მსაჯმა, ბორის შავერდიანის მამამ სარქისმა შემომთავაზა მასთან მევარჯიშა 100-უჯრედიან შაშში. ასე შეერთდა ჩვენი გზები. 1980 წელს გავხდი თბილისის ჩემპიონი იუნიორებში, ერთი წლის შემდეგ კი მოზრდილთა შეჯიბრებაშიც გავიმარჯვე, 1982 წლიდან ჩემი პირადი მწვრთნელი გახდა სპორტის ოსტატი არტურ გოიხმანი. არტურმა შაშის თეორიის დღევანდელი უმაღლესი მიღწევები გამაცნო. მისი ხელმძღვანელობით 1982 წელს გავხდი იუნიორებში საქართველოს ჩემპიონი. ორი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატში გავიმარჯვე, 1982 წლიდან ჩემი ბიძა ბერიშვილი ... 1980 ... 1982 ... 1982 ... 1982